ბეს გადაცემის ხელშეკრულება

ქ. თბილისი __/__/____

წინამდებარე ხელშეკრულება იდება შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ შპს ალ ლავატი ჯგუფი (ს/ნ 406211889) წარმოდგენილი მისი დირექტორის (ჰაიდარ ღულამ ჰუსეინ ალი ალ ლავატი, 11230433, 03714124 /ომანი/) მიერ (შემდგომში **„ბეს მიმღები“**), ხოლო მეორეს მხრივ შპს სასტუმრო ბრიქს (ს/ნ 404626473) წარმოდეგნილი მისი დირექტორი კამრან ისმაილოვ, 76 3717207, 12001025697 /რუსეთის ფედერაცია/ მიერ (შემდგომში **„ბეს გამცემი“**).

გამომდინარე იქედან, რომ მხარეები გეგმავენ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას უძრავ ქონებაზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით:

1. **ხელშეკრულების საგანი:**

1.1. ბეს გამცემი ბეს მიმღებს გადასცემს ბეს სახით 300 000 (სამასი ათასი) დოლარის ექვივალენტს ლარში ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს დადგენილი კურსის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, რითაც მხარეები ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ 2022 წლის 24 იანვრამდე დადებენ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას.

1.2. ხელშეკრულების 1.1. პუნქტში გათვალისწინებული ბეს სახით გადაცემული ფულადი თანხა, ჩაითვლება უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ანგარიშში.

1.3. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბეს გამცემის მიერ, ბეს მიმღებისაგან უძრავი ქონების შესყიდვა, რომლის მახასიათებლები, გადახდის წესი და ხელშეკრულების პირობები გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და ასევე დეტალურად დადგენილი იქნება ნასყიდობის ხელშეკრულებით.

1.4. უძრავი ქონება, რომელთან დაკავშირებითაც იდება წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს სასტუმროს, რომელიც მდებარეობს მის: ქალაქი თბილისი , აღმართი ღვინის, N 17; ქალაქი თბილისი , ქუჩა ურბნისის , N 4 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი ფერიცვალების, N 2, (ნაკვეთი N92/19), ფართობით 644.00, ს/კ 01.17.01.092.019, აგრეთვე უძრავ ქონებასთან ერთად მისი სრული ინვენტარი განსაზღვრული დანართი 1 - ის სახით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დანართი 1-ში მოცემული ინვენტარის ტექნიკური მდგომარეობა და ხარისხი, ასევე მოცულობა

ბეს მიმღები _____ ბეს გამცემი _____

Haidar Ghulam Hussain Ali Al Lawati Камранов Камран

შეთანხმებული იქნება მხარეების მიერ ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე. ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ ინვენტარიზაციის შედეგი (თუ აღმოჩნდება რომ დანართი 1-ში მოცემული ინვენტარის ფაქტობრივი მდგომარეობა/ხარისხი ან/და რაოდენობა ნაკლის მქონეა) გავლენას არ მოახდენს ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე.

1.5. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს შემდეგ პირობებს:

1.5.1. ნასყიდობის საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 2 700 000 (ორი მილიონ შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს დადგენილი კურსით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე; აღნიშნული თანხა მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ზეს თანხის (300 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში) ოდენობას და 270 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე), რომლის ანაზღაურებაც მოხდება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ . საფასური ასევე მოიცავს სასტუმროს N1 და N2 ნაგებობას და დანართი N1-ში მითითებულ ყველა დანადგარს და ინვენტარს.

1.5.2.ვინაიდან ნასყიდობის საგანი (სასტუმრო) არის ახალი აშენებული და შენობა-ნაგებობა კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის ექსპლუატაციაში მიღებული შესაბამისი სამსახურის მიერ, გამყიდველი/ზეს მიმღები იღებს ვალდებულებას 2022 წლის პირველ ნოემბრამდე განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება, რათა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შენობა-ნაგებობა მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში ყველა შესაბამისი ხარჯის გათვალისწინებით. ნასყიდობის საგნის გაფორმებამდე ზეს მიმღები ასევე საკუთარი ხარჯით სრულ რეაბილიტაციას გაუკეთებს ცხელი წყლის მიწოდების სისტემას.

1.5.3.ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდება სს „საქართველოს ბანკი“-ში და ნასყიდობის საგნის ღირებულების ნაწილი 2 130 000 (ორი მილიონ ასოცდაათიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტით (ეროვნული ბანკის მიმდინარე დღის საბანკო კურსით, გადახდის მომენტისათვის), გადახდა განხორციელდება „ესქროუ“ ანგარიშის გამოყენებით, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდება (ხელი მოეწერება) სს „საქართველოს ბანკში“ „ესქროუ“ ანგარიშის გახსნის და შესაბამის ანგარიშზე ამ პუნქტით განსაზღვრული თანხის ჩარიცხვის (ზეს მიმცემის (მყიდველის) მიერ) შემდგომ. „ესქროუ“ ანგარიშზე თანხა განთავსება ლარში.

ზეს მიმღები ზეს გამცემი

Haidar Ghulam Husain Ali Al Lawati

ბ) „ესქროუ“ ანგარიშზე განთავსებული თანხის ჩარიცხვა ბეს მიმღების (გამყიდველის) ანგარიშზე განხორციელდება მას შემდგომ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში;

გ) „ესქროუ“ ანგარიშის გახსნის და შესაბამისი მომსახურების ღირებულების გადახდა ეკისრება ბეს მიმღებს (გამყიდველს).

1.5.4. გამყიდველი/ბეს მიმღები ადასტურებს, რომ უძრავი ნივთი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში (მათ შორის არ გააჩნია რაიმე დაფარული ნაკლი) და ამასთან არსებობს ნოტარიულად დამოწმებული გამყიდველის პარტიორთა შეთანხმება (კრების ოქმი) ნასყიდობის საგნის გაყიდვის თაობაზე, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას (დანართი 2) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.5.5. გამყიდველი/ბეს მიმღები ადასტურებს, რომ არ არსებობს გარემოება (მშენებლობა განხორციელდა შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, არ არსებობს შეთანხმებული პროექტისგან გადახვევის შემთხვევები და ა.შ), რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს შენობა-ნაგებობის შესაბამისი სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში მიღებას.

1.5.6. 1.5.1 მუხლით განსაზღვრული 270 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების უზრუნველსაყოფად ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის ბეს გამცემის/მყიდველის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საბანკო გარანტია. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს აშშ დოლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული. (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა - 2022 წლის 01 ნოემბერი).

1.5.7. ვინაიდან ნასყიდობის საგანი (სასტუმრო) ექსპლუატაციაში მიღებამდე საკუთრების უფლებით გადავა ბეს მიმცემზე 1.5.3 მუხლის შესაბამისად, ბეს მიმცემი იღებს ვალდებულებას ხელი არ შეუშალოს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. ამ მიზნით იგი იღებს ვალდებულებას:

ა) ობიექტზე არ განახორციელოს რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოების წარმოება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ექსპლუატაციაში მიღების პროცესს;

ბ)ობიექტზე დაუბრკოლებლად შეუშვას თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების უფლებამოსილი წარმომადგენლები;

გ)ხელი არ შეუშალოს ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად კანონმდებლობით განსაზღვრულ საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების/შექმნის პროცესს.

1.5.8. იმ შემთხვევაში თუ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება ვერ განხორციელდა 1.5.2. მუხლით განსაზღვრულ ვადაში და აღნიშნული გამოწვეულია ბეს მიმცემის ბრალით, მისი მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 1.5.7. მუხლით

ბეს მიმღები ________________

ბეს გამცემი ________________

Исмаилов Камран

Haidar Ghulam Hussain Ali Al Lawati

განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო, ბეს მიმცემი ვალდებულია ბეს მიმღებს გადაუხადოს 1.5.1 მუხლით განსაზღვრული, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პირობასთან დაკავშირებული თანხა (270 000 $) ბეს მიმღების მხრიდან მისი მოთხოვნისთანავე.

1.5.9.1.5.6. მუხლით განსაზღვრული საბანკო გარანტიის მომსახურების საფასურს ინაწილებს მხარეები შემდეგნაირად:

ა) 2022 წლის 01 მაისამდე გაცემული საბანკო გარანტიის მომსახურების საფასურს გადაიხდის ბეს გამცემი (პრინციპალი);

ბ) 2022 წლის 01 მაისიდან 2022 წლის 01 ნოემბრამდე გაცემული საბანკო გარანტიის მომსახურების საფასურს გადაიხდის ბეს მიმღები (ბენეფიციარი), მიუხედავად იმისა თუ ვინ იქნება გარანტიის მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებული პირი გარანტორის წინაშე, გარანტიის გამცემსა და ბეს გამცემს (პრინციპალს) შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

1.5.10. იმ შემთხვევაში თუ 1.5.2. მუხლით გათვალისწინებულ ვადაში (2022 წლის 01 ნოემბერი) ვერ განხორციელდა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, 1.5.6. მუხლით განსაზღვრული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა (2022 წლის 01 ნოემბერი) გაგრძელდება/ახალი გაიცემა ბეს მიმღების (გამყიდველის) გადაწყვეტილებით. ამ მიზნით შესაბამის გადაწყვეტილებას, ბეს მიმღები (გამყიდველი) საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის (2022 წლის 01 ნოემბერი) გასვლამდე შეატყობინებს ბეს მიმცემს (მყიდველს) და თავის მხრივ ბეს მიმცემი (მყიდველი) ვალდებულია გააგრძელოს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ერთი წლით. ასეთ შემთხვევაში ახალი საბანკო გარანტიის გაცემის/ვადის გაგრძელების მომსახურების საფასურს სრულად კისრულობს ბეს მიმღები (გამყიდველი).

2. <u>მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა</u>

2.1. თუ ბეს მიმღები, უარს იტყვის უმრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე 1.5 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ან სხვაგვარად, მისი ბრალეული მოქმედებით/უმოქმედობით ხელს შეუშლის მას, იგი ვალდებულია ბეს სახით მიღებული თანხა 300 000 (სამასი ათასი) დოლარის ექვივალენტი ლარში ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს დადგენილი კურსით მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს ბეს გამცემს ორმაგი ოდენობით.

2.2. თუ ბეს გამცემი, უარს იტყვის უმრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე 1.5 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ან სხვაგვარად, მისი ბრალეული მოქმედებით/უმოქმედობით ხელს შეუშლის მას, გადახდილი ბე რჩება ბეს მიმღებს.

ბეს მიმღები ბეს გამცემი

Haidar Ghulam Hussain Ali Al Lawati

3. <u>ბეს გადაცემის და დაბრუნების წესი</u>

3.1. ბეს გამცემი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების დადებისთანავე (წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე), უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გადაუხადოს ბეს მიმღებს ბე 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობისთა გადახდის დღისთვის ეროვნული კურსის შესაბამისად ლარში.

3.1.1.ბეს მიმღებისთვის თანხის გადარიცხვა ხორციელდება შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

- ბანკი: სს საქართველოს ბანკი
- ს/კ: 406211889
- ა/ნ: **GE69BG0000000222697600**
- მიმღები: შპს ალ ლავატი ჯგუფი

3.2. ხელშეკრულების 4.2.6. მუხლით გათვალისწინებულ პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბეს მიმღები ვალდებულია ბეს გამცემს დაუბრუნოს შესაბამისი ოდენობით თანხა, ორმაგი ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, თანხის დაბრუნების მოთხოვნისთანავე.

3.2.1.ბეს გამცემისთვის თანხის გადარიცხვა ხორციელდება შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

- ბანკი:სს საქართველოს ბანკი
- ს/კ: 406211889
- ა/ნ: **GE36BG0000000528174765**
- მიმღები: შპს სასტუმრო ბრიქს

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ბეს თანხის ჩარიცხვა 3.1.1 მუხლის თანახმად განხორციელდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთანავე. იმ შემთხვევაში თუ ბეს გამცემი ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და წესით არ გადაიხდის ბეს თანხას წინამდებარე ხელშეკრულება ითვლება ანულირებულად და ამის თაობაზე დამატებითი შეთანხმების გაფორმების აუცილებლობა არ არსებობს.

4. <u>მხარეთა პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება</u>

4.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ მათი მხრიდან ვალდებულების დარღვევა გამოწვეული არის დაუძლეველი ძალის მოქმედებით (ფორს-მაჟორი) ან ისეთი გარემოებით, რომლის გათვალისწინება და აღკვეთა მხარეების ძალებს აღემატებოდა;

ბეს მიმღები

ბეს გამცემი

Haidar Ghulam Hussain Ali Al Lawati

Жиланов Камран

4.2.1. ხელშეკრულების მიზნებისთვის პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებელ გარემოებებად ჩაითვლება, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, სამხედრო მოქმედებები, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია;

4.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის მსოფლიოში არსებული პანდემია (COVID – 19) და მასთან დაკავშირებული რეგულაციები არ წარმოადგენს ფორს-მაჟორულ გარემოებას;

4.2.3. ხელშეკრულებების პირობების დარღვევა ფოროსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

4.2.4. მხარეები ვალდებული არიან დაუძლეველი ძალის არსებობის შედეგად ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ შეატყობინონ მეორე მხარეს დაუყოვნებლივ. დაუყოვნებლივ შეტყობინების შეუძლებლობის შემთხვევაში, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 7 დღისა ასეთი გარემოების წარმოშობიდან. აღნიშნულ ვადაში შეტყობინების განუხორციელებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს უფლება არ აქვს, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით, მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუ შეტყობინების გაუგზავნელობა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით;

4.2.5. იმ შემთხვევაში თუ ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივობა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ხანს გაგრძელდა ან მისი დადგომისთანავე ცხადი გახდა, რომ მოქმედება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ხანს გაგრძელდება, მხარეები წყვეტენ ხელშეკრულების მოქმედების მიზანშეწონილობის საკითხს. მხარეების შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას შეწყვეტის შესახებ, იღებს მხარე, რომლის მიმართაც ჯეროვნად არ სრულდება ვალდებულება. ხელშეკრულების ამგვარი შეწყვეტის დროს მხარეები შეძლებისდაგვარად გონივრულ ვადებში ასწორებენ ყველა ადრე არსებულ ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ.

4.2.6. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ბეს მიმღებს ეკრძალება ბეს საგნიის (პუნქტი 1.4) იპოთეკით ან სხვა რაიმე ვალდებულებით დატვირთვა.

5. ზოგადი დებულებები

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე 4 (ოთხ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს სარეგისტრაციოდ, თითო გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი რჩება სანოტარო არქივში.

5.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

ბეს მიმღები

Haidar Ghulam Hussain Ali Al Lawati

ბეს გამცემი

Шамилов Камран

5.3. ნებისმიერი დავა, რაც წარმოიშვება ამ ხელშეკრულებიდან ან ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, მათ შორის ნებისმიერი კითხვა მისი არსებობის, კანონიერების, განმარტების, აღსრულების, დარღვევის ან შეწყვეტის შესახებ უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

5.4. თუ მოლაპარაკებას აზრი არ აქვს ან თუ მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, მხარეთა შორის ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით გადაეცემა სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად ცნობა ზეგავლენას არ ახდენს ამ ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების ნამდვილობაზე, თუ ხელშეკრულება დაიდებოდა ბათილი პირობის გარეშეც.

5.6. ნებისმიერი საკითხი, რომელიც განსაზღვრული არ არის ამ ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

5.7. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა კომუნიკაცია უნდა წარიმართოს წერილობით ამ ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ საკომუნიკაციო საშუალებებზე შეტყობინების გაგზავნის ან ნებისმიერი სხვა ფორმით, თუ იგი იძლევა საშუალებას ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების დამტკიცებისა.

5.8. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და რეგისტრაცია საფუძველია ბეს ხელშეკრულების საფუძველზე არსებული რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმებისთვის.

5.9. "ბეს მიმცემი" იღებს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან და სახელმწიფო რეგისტრაციასთან, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. **<u>მხარეთა რეკვიზიტები</u>**

<u>ბეს მიმღები</u>	<u>ბეს გამცემი</u>
შპს შპს ალ ლავატი ჯგუფი	შპს სასტუმრო ბრიქს
ს/ნ 406211889	ს/ნ 404626473
მის: თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, კორპ. 2, ბ. 103	მის: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის I ჩიხი, N 2, ბინა N31
ტელ:	ტელ:
ელ. ფოსტა: allawatigroup@gmail.com	ელ. ფოსტა: fatihdemir2424@gmail.com

ბეს მიმღები _____

ბეს გამცემი _____

Haidar Ghulam Hussain Ali Al Lawati

Фатих Камран